ეს ყველაფერი შესაძლებელია. შესაძლებელია **ნორმალური ცხოვრება ნორმალურ ქვეყანაში.** მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ქართველების საკმაო რაოდენობა ამის მიღწევას სერიოზულად მოინდომებს.

## ხმა მიეცით ბლოკს – „სახალხო ფრონტი- ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“

**ნოდარ ნათაძე**
**თამარ ჩხეიძე**

# 6

P.S. ყველას, ვისაც აქვს შეკითხვები ჩვენს ბლოკთან, ან სურს დაგვეხმაროს არჩევნების გაკონტროლებაში, როგორც მეთვალყურე ან წარმომადგენელი, ვთხოვთ დაგვიკავშირდეს


ილია ჭავჭავაძის საზოგადოება
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 6
ტელ.: 99 57 19; 37 07 36
ფაქსი: 99 61 96;

საქართველოს სახალხო ფრონტი
თბილისი, პუშკინის 5
ტელ.: 93 17 10; 93 19 93
ტელ.: 93 16 89


## ხმა მიეცით ილიას გზას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 6



## ბლოკი „სახალხო ფრონტი- ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“

ი 131/1573
PX 4671/1
2
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სამშობლო არასანდო ხელისუფლების ხელშია. „მოქალაქეთა კავშირი“ ყოფილი ცეკას მდივნების და ახალი კომკავშირლების პარტიაა, რომელიც მუდამ მზადაა იმოქმედოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების წინააღმდეგ. მათ არძინბასთან ერთად დაიწყეს და ხელოვნურად წააგეს აფხაზეთის ომი. მილიარდობით დოლარის ღირებულების სახელმწიფო ქონების და საგარეო სესხების მიტაცება და ქურდ-ბაცაცობა მმართველი გუნდის ყოველდღიური საქმიანობაა. მათი ხელისუფლებაში დარჩენის ყოველი ახალი დღე დამანგრეველია ქვეყნისათვის.

„მოქალაქეთა კავშირისგან“ დიდად არ განსხვავდება „აღორძინების კავშირი“, რომლის ხელისუფლებაში მოსვლის შედეგები დაახლოებით იგივე იქნება; მათი კონფლიქტი პრინციპებსა და ქვეყნის ინტერესებს კი არა, მხოლოდ ძალაუფლებისათვის ბრძოლას ეფუძნება. სხვა თვისებებთან ერთად ორივე ამ ძალასთან დაკავშირებულია საქართველოს ფედერალიზაციის და დაქუცმაცების საფრთხე. საუბედუროდ, ამ არჩევნებში დიდი ფული მხოლოდ ამ ორ პარტიას აქვს. წესით ყველა ეროვნული და დემოკრატიული წარმოშობის პოლიტიკური ძალა მათგან ქვეყნის გამოხსნის და მისი განვითარების ნორმალურ გზაზე დასაყენებლად უნდა გაერთიანებულიყო, მაგრამ ფულის და ძალაუფლების სიყვარულმა მრავალი მათგანიც მათ მიატმასნა.

ჩვენ მეტად არათანაბარ მდგომარეობაში აღმოვჩნდით. მტრის მხარეზეა ფული, პროპაგანდის საშუალებები, ადმინისტრაციული აპარატი და, აქედან გამომდინარე, კენჭისყრის გაყალბების უდიდესი შესაძლებლობა. ჩვენს მხარესაა ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა და საარჩევნო პროცესის გაკონტროლებაში თქვენი აქტიურად ჩარევის იმედი.

## დღეს საქართველოში არსებული მდგომარეობის შეცვლა შესაძლებელია, მაგრამ ამისათვის ნამდვილი და პატიოსანი ხელისუფლებაა აუცილებელი.

ასეთი ხელისუფლების პირველივე ნაბიჯებს შორის იქნება უპრეცედენტო მასშტაბის კორუფციისთვის საფუძვლის გამოცლა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილად თავისუფალ და კანონიერ ურთიერთობებზე აგებული და არა დღევანდელი მაფიოზურ-კლანური ეკონომიკის დამკვიდრების გზით. დღეს მიზანმიმართულად ხდება ეროვნული წარმოების ჩახშობა, რათა ქვეყანა არ იყოს ეკონომიკურად დამოუკიდებელი. ხელისუფლებას არც მისგან მატერიალურად დამოუკიდებელი სოციალური ფენის არსებობა აწყობს პოლიტიკური არჩევანის მეტი თავისუფლებით. ჩვენი უპირველესი ამოცანა იქნება ეროვნული წარმოების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, რისთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია საგადასახადო სისტემის გამარტივება და შემსუბუქება.

ეროვნულ ხელისუფლებას საკმაოდ მოკლე ხანში შეუძლია აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში საქართველოს რეალური იურისდიქციის აღდგენა. **ანტიქართული დაჯგუფებები-სთვის დღეს არსებული მდგომარეობის შენარჩუნების ფაქტიურად ერთადერთი გარანტი თავად დღევანდელი ხელისუფლებაა:** დღევანდელ პირობებში რუსეთს თავის საზღვრებს გარეთ მხოლოდ მათი ხელით შეუძლია მიზნის მიღწევა. რუსეთის სამხედრო ყოფნა უდიდეს საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მშვიდობას და უშიშროებას, განსაკუთრებით შესაძლო საერთა-შორისო კონფლიქტის შემთხვევაში. რუსეთის ჯარების და ბაზების გაყვანა აგრეთვე მთლიანად ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.